მოკლე ბიოგრაფია
თათია უბერი არის იურისტი აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილებით. მისი პროფესიული საქმიანობისა და აკადემიური-კვლევითი ინტერესების სფეროს წარმოადგენს: სამოქალაქო სამართალი, შრომის სამართალი, კორპორაციული და ადმინისტრაციული სამართალი, საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი, განათლების სამართალი და ციფრული ტექნოლოგიების სამართალი. მინიჭებული აქვს სამართლის ბაკალავრისა და მაგისტრის აკადემიური ხარისხი კავკასიის უნივერსიტეტის მიერ. ამჟამად არის კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი. თათია უბერი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მოწვეული ლექტორის სტატუსით. პარალელურად, არის კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მოწვეული ლექტორი და საკოორდინაციო საბჭოს წევრი. 2018 წლიდან არის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის ექსპერტი, ასევე 2023 წლიდან, დღდე, აღნიშნული ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრი. მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ საერთაშორისო სასწავლო პროგრამაში, საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციასა და აკადემიურ ღონისძიებაში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში (ემორის უნივერსიტეტი), ერაზმუსის პროგრამის ფარგლებში, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ეგიდით გამართულ სასწავლო, სამუშაო აკადემიურ აქტივობებსა და ტრენინგებში. არის არაერთი საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორი და თანაავტორი.
გამოქვეყნებული სტატიები
1. Tatia Uberi. 2025. L'EUROPE UNIE / UNITED EUROPE, no. 22/2025 2. Challenges and Opportunities of Self-Employment in the Contemporary Labour Market: An Examination of Legal Frameworks 3. სამეცნიერო პუბლიკაცია - საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „სამართლის მაცნე" 2667-9434, 07/202, #9. 4. „EXPLORING THE LEGAL DEFINITION FOR Self-Employment STATUS IN TEMPORARY LABOR MARKET". 5. 14/10/2021 -შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (IBSU), მე-16 აბრეშუმის გზის საერთაშორისო კონფერენციის სამეცნიერო ჟურნალი - სამეცნიერო სტატია: "სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილება (შედარებითი ანალიზი - საქართველოს, გერმანიის და საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით)" თბილისი, საქართველო; 6. 09/10/2020 -შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (IBSU), მე-15 აბრეშუმის გზის საერთაშორისო კონფერენციის სამეცნიერო ჟურნალი - სამეცნიერო სტატია: "პირგასამტეხლოს წარმოშობის ისტორიული ექსკურსი, ევოლუცია და თანამედროვე ინტერპრეტაცია(შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)" სტატიის ავტორი: ირაკლი შამათავა; სტატიის თანაავტორი: თათია უბერი. თბილისი, საქართველო;

7. 11-12/10/2019 - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (IBSU), მე-14 აბრეშუმის გზის საერთაშორისო კონფერენციის სამეცნიერო ჟურნალი - სამეცნიერო სტატია: “შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) უსაფრთხოების სტანდარტები და მათი იმპლემენტაციის საჭიროება ქართულ კანონმდებლობაში” ავტორი: თათია უბერი; თანაავტორი: ირაკლი შამათავა. თბილისი, საქართველო